ქალაქ ქუთაისში, ჯავახიშვილის ქუჩა პირველი შესახვევი N22 საცხოვრებელი სახლის N122 ბინაზე, მოქალაქე ამირან ღვალისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა მოქალაქე ამირან ღვალის განცხადება /2012 წლის 27.03 Nღ–2491/, რითაც ითხოვს ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ჯავახიშვილის ქუჩა პირველი შესახვევი N22 საცხოვრებელი სახლის N122 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, $65^2$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ჯავახიშვილის ქუჩა პირველი შესახვევი N22 საცხოვრებელი სახლის N122 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ამირან ღვალს /პირადი N04001011836/.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ჯავახიშვილის ქუჩა პირველი შესახვევი N22 საცხოვრებელი სახლის N122 ბინაზე /საერთო ფართობი 37,94 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 26,42 კვ.მ, დამხმარე ფართობი 11,52 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 11,43 კვ.მ./ მოქალაქე ამირან ღვალის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიამ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი                                        გ.თევდორაძე